საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე



ს. იაკობაშვილი

იაკობაშვილი სოზარ ბიძინას ძე (2. VII. 1933, თბილისი, – 25. XI. 2008, კიევი, დაკრძალულია თბილისში), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978), გამომგონებელი (1983), საქართვ. საინჟ. აკადემიის და ეკოლოგიის, ადამიანისა და ბუნების დაცვის საერთაშ. აკადემიის ნამდვ. წევრი (2000).

1956 დაამთავრა სპი-ის მეტალ. ფაკ-ტი. 1958–65 მუშაობდა რუსთავის მეტალ. ქ-ნაში მეფოლადედ. 1965–69 უკრაინის ე. პატონის სახ. ელექტროშედუღების ინ-ტში იყო შედუღების ლაბორ. გამგე, ხოლო 1969–73 საქართვ. მეტალ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა ამავე დასახელების ლაბორატორიას.

იყო საერთაშ. ასოციაცია „შედუღების" ერთ-ერთი დამაარსებელი. სპი-ში ჩამოაყალიბა შედუღების მეტალურგიის კათედრა და მასთან სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია. იყო შედუღების მეტალ. და ტექნოლ. კათედრის გამგე (1989–93). დააარსა საქართველო-უკრაინის საერთაშ. სამეცნ.-ტექ. ცენტრი შედუღებასა და მონათესავე ტექნოლოგიებში გადამზადებისათვის.

ი-ის შრომები ეძღვნება საშემდუღებლო ტექნოლოგიების ყველა მიმართულებას. მისმა გამოგონებამ (ფოლადის დამუშავების ახალი ტექნოლოგია და ღუმლის კონსტრუქცია) ლაიფციგის საერთაშ. ბაზრობაზე (1975) დიდი ოქროს მედალი დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახ. თაობის „ცს" სერიის ციკლოკონვერტორული საშემდუღებლო კვების წყაროები. კვების წყაროს ცს–200-ის დამუშავებისა და დანერგვისათვის (ლიცენზია გაიყიდა გერმანიაში), 1975 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. იყო საერთაშ. სამეცნ. ტექ. ჟურნალ „მეტალურგიის, შედუღებისა და მასალათმცოდნეობის პრობლემების" მთ. რედაქტორი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: შედუღების პროცესების თეორია, თბ., 1980; მეტალურგია, თბ., 1987.